შპს ,, კამელინი "

ფინანსური ანგარიშგება2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ინფორმაცია შპს „კამელიონი“-სა და მისი საქმიანობის შესახებ

საზოგადოების სამართლებრივი ფორმა და დასახელება	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კამელიონი“
საზოგადოების საიდენტიფიკაციო კოდი	205046724
საზოგადოების იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი	საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, ზურაბ იარაჯულის I ჩიხი, N 10
საზოგადოების დაფუძნების თარიღი	08 დეკემბერი 2004
საზოგადოების ტელეფონი	0322986225
საზოგადოების ელ. ფოსტა	info@camelyn.ge
საზოგადოების დირექტორები	ავთანდილ მახარობლიძე მერაბ ფრუიძე
საზოგადოების საქმიანობის საგანი	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის

საწარმოს დასახელება	კამელინი
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა	შპს
საიდენტიფიკაციო კოდი	205046724
მისამართი	ქ. თბილისი *ზურაბ არჯევლის I ჩიხი, N 10*
საქმიანობა	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოება

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	197540	271367	807523
სავაჭრო მოთხოვნები	2475069	1823604	245467
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი			
მარაგები	513058	88520	252500
- მზა პროდუქცია	1,800	2150	2200
- სხვა	511258	86,370	250,300
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1995740	854423	230500
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	5181407	3037914	1535990

ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	0	0	7771
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები	0		
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1605860		
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	1605860	0	7771
საკუთარი კაპიტალი	350000	350000	350000
საწარმოს კაპიტალი			
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	3225547	2687914	1178219
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)			
სულ საკუთარი კაპიტალი	3575547	3037914	1528219
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5181047	3037914	1535990

დირექტორი

შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

საწარმოს დასახელება	კამელინი
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა	შპს
საიდენტიფიკაციო კოდი	205046724
მისამართი	ქ. თბილისი *ფერაძ ია ხარჯულს I ჩიხი, N 10*
საქმიანობა	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოება

ლარი

	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	2390982	2751269
საქონლის გაყიდვიდან	2390982	2751269
მომსახურების გაწევიდან		
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-314520	-322,800
საერთო მოგება	2076462	2428469
სხვა შემოსავალი	156681	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1272080	-1,823,255
ცვეთა და ამორტიზაცია	-173650	-16,290
საპროცენტო შემოსავალი:		
საპროცენტო ხარჯი :	-130300	
იჯარის ხარჯი		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-119480	-580,479
სულ საოპერაციო ხარჯები	-1538829	-2,420,024
საოპერაციო მოგება	537633	8445
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		

დირექტორი :

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება კამელინი რეგისტრირებულია ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ 2004 წლის 8 დეკემბერს. რეგისტრაციის ნომერი 5/4-4206. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 205046724 .

იურიდიული მისამართია: ქ თბილისი სამგორის რაიონი, ზურაბ იარაჯულის I ჩიხი N 10

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოების პარტნიორები არიან:
- ფიზიკური პირი ქეთევან მაღლაკელიძე (პნ-01008002132) ფლობს წილის 63.3% -ს,
- ფიზიკური პირი გიორგი მაღლაკელიძე (პნ-01018002483) -31,7% და
- ფიზიკური პირი მზია მაღლაკელიძე (პნ-01024003934) - 5%.

კომპანიის საქმიანობა მოიცავს: საქართველოში მოპოვებული, ბიოლოგიურად აქტიური, ბუნებრივი ნაერთების, ფართომაშტაბიან შესწავლას ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ფარმაცევტული პრეპარატების და ბიოდანამატების წარმოებას და მათ ფართო დანერგვას მედიცინაში, კოსმეტოლოგიაში და კვების ინდუსტრიაში.

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილია დირექტორატი:
დირექტორი - ავთანდილ მახარობლიძე(პ/ნ-01008002145) .
დირექტორი - მერაბ ფრუიძე (პ/ნ 01030017549) .

კომპანიას აქვს საკუთარი ვებ გვერდი: www.camelin.ge

2. <u>მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა</u>

მომზადების საფუძვლები

შპს "კამელინი"-ს მიერ წარმოდგენილი 2023 სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში- "ანგარიშგება") მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში- "მსსფასს-ები") შესაბამისად.

ანგარიშგებაში აღწერილია საანგარიშგებო პერიოდში – 2023 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით – საზოგადოებაში მომხდარი ყველა სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენის ფინანსური შედეგები, რომლებიც დაჯგუფებულია მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით.

შენიშვნებში მოცემულია განმარტებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ფულადი ნაკადების ანგარიშგებასა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებაში ასახულ თანხებთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია. აქ თავმოყრილია ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება მსს ფასს-ებით, აგრეთვე ის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საწარმოს შესახებ ინფორმაციის სამართლიანი წარდგენისთვის ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების მიხედვით.

სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს მთელამდე.

ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრისთვის გააჩნია გაუნაწილებელი მოგება 2687914 ლარი, 2023 სამეურნეო წელი დაასრულა მოგებით 537633 ლარი. 2024 წლის მონაცემების გათვალისწინებით კომპანიის მენეჯმენტსა სჯერა, რომ აღნიშნული უზრუნველყოფს კომპანიისთვის აუცილებელ ლიკვიდურობას ოპერაციების გასაგრძელებლად და ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

საანგარიშგებო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს და მოიცავს პერიოდს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემოსავლებისა და ხარჯების (სამეურნეო ოპერაციების) აღიარება-ასახვა, მსსფასს-ების შესაბამისად, ხდება ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდით, ანუ მათი მოხდენისთანავე და არა ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს. ამასთან, ხარჯების აღიარებისას დაცულია მიმდინარე პერიოდის ამონაგებსა და დანახარჯებს შორის შესაბამისობის პრინციპი, ანუ მათი გატარება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და ასახვა ანგარიშგებაში ხდება შესაბამის პერიოდებისათვის მიკუთვნებით.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს

ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. საანგარიშო პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი, წლის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. კონვერტაციის შედეგად წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობა აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე, მოგებად ან ზარალად.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებულია გაცვლითი კურსები:

	31.12.2022	31.12.2023
USD/GEL	2,7020	2,6894
EUR/GEL	2.8844	2,9753

ფული და ფულის ექვივალენტი

ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშზე და საბანკო ბარათებზე. საწარმოს არ გააჩნია რეგისტრირებული სალარო აპარატი. ოპერაციები ძირითადად წარმოებს გადარიცხვით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. ძირითადი საშუალების ერთეული რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით.

თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან.

ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ეკვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პირობა სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში, ან მოხდება მისი კაპიტალიზაცია თუ გადავადებული გადახდა უკავშირდება განსაკუთრებულ აქტივს.

ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აქტივის ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით. აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის.

ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშების მიზნით გამოყენებულია წრფივი მეთოდი. ძირითადი საშუალებების ცალკეული ჯგუფებისათვის განსაზღვრულია შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

- შენობები – 50 წელი;
- ნაგებობები – 10 წელი;
- მანქანა-დანადგარები – 30 წელი;

- კომპიუტერული ტექნიკა – 15 წელი;
- ოფისის აღჭურვილობა – 5 წელი;
- ავეჯი და ინვენტარი – 20 წელი;

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომლიც დამოკიდებულია სხვადასახვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმოში ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ ანიჭებს ამონაგების კლასიფიკაციას.

კომპანიაში ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება პერიოდულად. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ანგარიშგებაში ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებთ განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

2023 წელს საწარმომ გაყიდული მის საკუთრებაში არსებული ქონება, რაც აღრიცხულია ზემოაღნიშნული წესით არასაოპერაციო შემოსავლის სახით.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმოიხილავს თავისი მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას, რათა განსაზღვროს არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში შეფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება, რათა განისაზღვროს გაუფასურების ზარალი(თუ ასეთი არსებობს). როდესაც შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც მიეკუთვნება ეს აქტივი.

მარაგები

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარელიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

კომპანიის მარაგების უმეტეს ნაწილს წარმოადგენს ნედლეული და მასალები, რომლებიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის, ასევე ძირითადი საშუალების მუშა მდგომარეობის უზრუნველსაყოფად .

სასაქონლო–მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე იმ დანახარჯებს,რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. გაყიდული (გამოყენებული) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც აღიარდება შესაბამისი შემოსავლები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულების ხარჯად აღიარებისათვის გამოიყენება FIFO მეთოდი.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიას გააჩნია მარაგების ნაშთები :

ნედლეული და მასალები 511258 ლარი

სარეალიზაციოდ განკუთვნილი საქონელი 1800 ლარი

შემოსავლის აღიარება

მოთხოვნები აღირიცხება მიღებული ან მისაღები ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს წმინდა მისაღებ თანხებს მიწოდებული საქონლისთვის ან გაწეული მომსახურებისათვის/საქონლისთვის ფასდათმობის, უკან დაბრუნების და დამატებული ღირებულების გადასახადების გათვალისწინებით.

კომპანია მოთხოვნების გაუფასურებას ახორციელებს ქვეყანაში არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წარმოადგენს განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს და პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო მოთხოვნების გადაყვანა ხდება ადგილობრივ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება იმავე წელს სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ როდესაც არსებობს საფუძველი რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში თუ არა როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ამონაგების აღიარება

საქონლის რეალიზაციიდან ამონაგები აღიარდება მაშინ, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს საოპერაციო ხარჯების გაწევას, რომელიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებლია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ პერიოდში როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ. ვინაიდან საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით მიმდინარე წლის გამოუყენებელი შვებულება ანაზღაურდება მომავალ პერიოდებში, არ წარმოიქმნება გამოუყენებელი შვებულების რეზერვი.

საკუთარი კაპიტალი

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არაკმაყოფილებენ ფინანსური ვალდებულებების აღიარების კრიტერიუმს კომპანიის მიერ აღირიცხება როგორც საკუთარი კაპიტალი. საკუთარი კაპიტალი მოიცავს საწარმოს მესაკუთრის მიერ განხორციელებულ ინვესტიციას, ამ ინვესტიციების მატებას, რომელიც მიღებული იქნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობებიდან და საწარმოში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით და მესაკუთრს ინვესტიციის შემცირებას, რაც განაპირობა არამომგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა ხელმძღვანელობა ცდილობს კომპანიის სტრატეგიული საჭიროებებიდან გამომდინარე კაპიტალის შესაბამისი ბაზის უზრუნველყოფას, რაც მიიღწევა ფულის ეფექტური მართვის და კომპანიის შემოსავლის და მოგების მუდმივი მონიტორინგის საშუალებით.
2022 წლის ბოლოს განმავლობაში კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 350000 ლარს.
2023 წელს საწესდებო კაპიტალში ცვლილება არ მომხადარა .

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

ბანკის სესხების და ოვერდრაფტების საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.
საწარმოს გააჩნია საკრედიტო ვალდებულება თიბისი ბანკის მიმართ .

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომ მნიშნელოვან ცვლილებებსა და მოვლენებს ადგილი არ ქონია.

დაბეგვრა

კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებობის შესაბამისად კერძოდ, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის მოდელი, რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის

თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. მოგების გადასახადით დაბეგვრა მოხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება:

1. დივიდენდის განაწილება
2. სხვაობები გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის
3. ხარჯები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას
4. გადახდები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას
5. უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება
6. წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზემოთ

აღნიშნულის გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

წინასწარი გადახდები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია მოსალოდნელი გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსები აისახება მიმდინარედ, თუ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ავანსის მიღება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს არამიმდინარე აქტივთან, აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება საქონლის ან მომსახურების მიღებისას.

კომპანიის მიერ გადახდილ ავანსს ძირითადად წარმოადგენს ნედლეულის ან ძირითადი საშუალების მომწოდებელი კომპანიებისათვის გადახდილი თანხები.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი რომ ვერ მოხდება საქონლის მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა , ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პეროდში როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში. 2023 წელს დივიდენდი არ გაცემულა.

1. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება მოსალოდნელი წარმადობა სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

ძირითადი საშუალებები, შპს კამელინი

დასახელება	31/12/2022	შემოსვლა	გასვლა	ცვეთა	31/12/2023
	ღირებულება				ღირებულება
შენობები	104496	532605		30655	606426
მიწა	95580		53120		42460
მოწყობილობები	653633	723351		30864	1346120
სხვა	734				734
სატრანსპორტო საშუალებები	0	0	0	0	0
სულ ძირითადი საშუალებები	854423	1255956	53120		1995740

დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31/12/2022	31/12/2023
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	820564	1135393
სავაჭრო მოთხოვნები	1003040	1339676
სულ დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1823604	2475069

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები	31 /12/ 2022	31 /12/ 2023
თანხა სალაროში	0	0
თანხა ბანკში	271367	197540
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	271367	197540

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 0 ლარს (2022 წელს 7771 ლარი)

სასესხო ვალდებულებები

კომპანიას საბანკო დაწესებულებიდან აღებული აქვს გრძელვადიანი სესხები.

მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები	31.12.2022	31.12.2023
გრძელვადიანი სესხი	2000000	1605860
მოკლევადიანი სესხი		
სულ სესხის ვალდებულებები	2000000	1605860

შემოსავალი

2023 წლის შემოსავალი 2390982 ლარის ოდენობით (2022წ: 2751269 ლარი) მოიცავს ამონაგებს ბიოლოგიურად აქტიური დანამატების რეალიზაციიდან.

2. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

საგადასახადო კანონმდებლობა
საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას ასევე შესაძლებელია რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა მომავალში გახდეს დავის საგანი რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად არ მომხდარა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

ფინანსური რისკის მართვა
კომპანია განიხილავს თავის რისკებს ფინანსური რისკების კონტექსტში, რომელიც მოიცავს საკრედიტო, საბაზრო, სავალუტო ლიკვიდურობის და საპროცენტო განაკვეთების რისკებს. ამასთან კომპანია პერმანენტულად ახორციელებს სამუშაოებს საოპერაციო რისკების მინიმიზაციის კუთხითაც.

საკრედიტო რისკი

კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს, რომ კონტრაქტორი დროულად ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.
საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილებების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი
საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

სავალუტო რისკი
სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანია არ ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს.

ლიკვიდურობის რისკი
ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით. კომპანიას გააჩნია ფული და სხვა სახის მაღალი ლიკვიდურობის აქტივები, რომლებიც უზრუნველყოფს მიმდინარე ვალდებულებების დროულ გასტუმრებას.

კაპიტალის მართვა
კომპანიის კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული მიზანია შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალის ბაზა, რათა მიაღწიოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიულ მიზნებს და შეინარჩუნოს ბაზრის მონაწილეთა ნდობა.

ხელმომწერი პირები:
დირექტორი



შპს ,, კამელინი "

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ინფორმაცია შპს „კამელინი“-სა და მისი საქმიანობის შესახებ

საზოგადოების სამართლებრივი ფორმა და დასახელება	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კამელინი“
საზოგადოების საიდენტიფიკაციო კოდი	205046724
საზოგადოების იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი	საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, ზურაბ იარაჯულის I ჩიხი, N 10
საზოგადოების დაფუძნების თარიღი	08 დეკემბერი 2004
საზოგადოების ტელეფონი	0322986225
საზოგადოების ელ. ფოსტა	info@camelyn.ge
საზოგადოების დირექტორები	ავთანდილ მახარობლიძე მერაბ ფრუიძე
საზოგადოების საქმიანობის საგანი	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის

საწარმოს დასახელება	კამელინი
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა	შპს
საიდენტიფიკაციო კოდი	205046724
მისამართი	ქ. თბილისი ზურაბ იარაჯულს I ჩიხი, N 10
საქმიანობა	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოება

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	197540	271367	807523
სავაჭრო მოთხოვნები	2475069	1823604	245467
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი			
მარაგები	513058	88520	252500
- მზა პროდუქცია	1,800	2150	2200
- სხვა	511258	86,370	250,300
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1995740	854423	230500
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	5181407	3037914	1535990

ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	0	0	7771
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები	0		
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1605860		
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	1605860	0	7771
საკუთარი კაპიტალი	350000	350000	350000
საწარმოს კაპიტალი			
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	3225547	2687914	1178219
გადათვასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)			
სულ საკუთარი კაპიტალი	3575547	3037914	1528219
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5181047	3037914	1535990

დირექტორი

შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

საწარმოს დასახელება	კამელინი
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა	შპს
საიდენტიფიკაციო კოდი	205046724
მისამართი	ქ. თბილისი ზურაბ იარაჯულს I ჩიხი, N 10
საქმიანობა	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოება

ლარი

	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	2390982	2751269
საქონლის გაყიდვიდან	2390982	2751269
მომსახურების გაწევიდან		
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-314520	-322,800
საერთო მოგება	2076462	2428469
სხვა შემოსავალი	156681	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1272080	-1,823,255
ცვეთა და ამორტიზაცია	-173650	-16,290
საპროცენტო შემოსავალი:		
საპროცენტო ხარჯი :	-130300	
იჯარის ხარჯი		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-119480	-580,479
სულ საოპერაციო ხარჯები	-1538829	-2,420,024
საოპერაციო მოგება	537633	8445
გაუფასურების (ხარჯი)/ რეევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		

დირექტორი :

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება კამელინი რეგისტრირებულია ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ 2004 წლის 8 დეკემბერს. რეგისტრაციის ნომერი 5/4-4206. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 205046724 .

იურიდიული მისამართია: ქ თბილისი სამგორის რაიონი, ზურაბ იარაჯულის I ჩიხი N 10

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოების პარტნიორები არიან:
- ფიზიკური პირი ქეთევან მაღლაკელიძე (პნ-01008002132) ფლობს წილის 63.3% -ს,
- ფიზიკური პირი გიორგი მაღლაკელიძე (პნ-01018002483) -31,7% და
- ფიზიკური პირი მზია მაღლაკელიძე (პნ-01024003934) - 5%.

კომპანიის საქმიანობა მოიცავს: საქართველოში მოპოვებული, ბიოლოგიურად აქტიური, ბუნებრივი ნაერთების, ფართომაშტაბიან შესწავლას ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ფარმაცევტული პრეპარატების და ბიოდანამატების წარმოებას და მათ ფართო დანერგვას მედიცინაში, კოსმეტოლოგიაში და კვების ინდუსტრიაში.

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილია დირექტორატი:
დირექტორი - ავთანდილ მახარობლიძე(პ/ნ-01008002145)
დირექტორი - მერაბ ფრუიძე (პ/ნ 01030017549) .

კომპანიას აქვს საკუთარი ვებ გვერდი: www.camelin.ge

2. <u>მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა</u>

მომზადების საფუძვლები

შპს "კამელინი"-ს მიერ წარმოდგენილი 2023 სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში- "ანგარიშგება") მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში- "მსსფასს-ები") შესაბამისად.

ანგარიშგებაში აღწერილია საანგარიშგებო პერიოდში – 2023 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით – საზოგადოებაში მომხდარი ყველა სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენის ფინანსური შედეგები, რომლებიც დაჯგუფებულია მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით.

შენიშვნებში მოცემულია განმარტებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ფულადი ნაკადების ანგარიშგებასა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებაში ასახულ თანხებთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია. აქ თავმოყრილია ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება მსს ფასს-ებით, აგრეთვე ის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საწარმოს შესახებ ინფორმაციის სამართლიანი წარდგენისთვის ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების მიხედვით.

სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს მთელამდე.

ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრისთვის გააჩნია გაუნაწილებელი მოგება 2687914 ლარი, 2023 სამეურნეო წელი დაასრულა მოგებით 537633 ლარი. 2024 წლის მონაცემების გათვალისწინებით კომპანიის მენეჯმენტსა სჯერა, რომ აღნიშნული უზრუნველყოფს კომპანიისთვის აუცილებელ ლიკვიდურობას ოპერაციების გასაგრძელებლად და ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

საანგარიშგებო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს და მოიცავს პერიოდს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემოსავლებისა და ხარჯების (სამეურნეო ოპერაციების) აღიარება-ასახვა, მსსფასს-ების შესაბამისად, ხდება ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდით, ანუ მათი მოხდენისთანავე და არა ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს. ამასთან, ხარჯების აღიარებისას დაცულია მიმდინარე პერიოდის ამონაგებსა და დანახარჯებს შორის შესაბამისობის პრინციპი, ანუ მათი გატარება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და ასახვა ანგარიშგებაში ხდება შესაბამის პერიოდებისათვის მიკუთვნებით.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ეავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. საანგარიშო პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი, წლის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. კონვერტაციის შედეგად წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობა აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე, მოგებად ან ზარალად.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებულია გაცვლითი კურსები:

	31.12.2022	31.12.2023
USD/GEL	2,7020	2,6894
EUR/GEL	2.8844	2,9753

ფული და ფულის ექვივალენტი

ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშზე და საბანკო ბარათებზე. საწარმოს არ გააჩნია რეგისტრირებული სალარო აპარატი. ოპერაციები ძირითადად წარმოებს გადარიცხვით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. ძირითადი საშუალების ერთეული რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით.

თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან.

ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ეკვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პირობა სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში, ან მოხდება მისი კაპიტალიზაცია თუ გადავადებული გადახდა უკავშირდება განსაკუთრებულ აქტივს.

ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აქტივის ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით. აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის.

ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშების მიზნით გამოყენებულია წრფივი მეთოდი. ძირითადი საშუალებების ცალკეული ჯგუფებისათვის განსაზღვრულია შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

- შენობები – 50 წელი;

- ნაგებობები – 40 წელი;
- მანქანა-დანადგარები – 30 წელი;
- კომპიუტერული ტექნიკა – 15 წელი;
- ოფისის აღჭურვილობა – 5 წელი;
- ავეჯი და ინვენტარი – 20 წელი;

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომლიც დამოკიდებულია სხვადასახვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმოში ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ ანიჭებს ამონაგების კლასიფიკაციას.

კომპანიაში ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება პერიოდულად. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ანგარიშგებაში ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებთ განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

2023 წელს საწარმომ გაყიდული მის საკუთრებაში არსებული ქონება, რაც აღრიცხულია ზემოაღნიშნული წესით არასაოპერაციო შემოსავლის სახით.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმოიხილავს თავისი მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას, რათა განსაზღვროს არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში შეფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება, რათა განისაზღვროს გაუფასურების ზარალი(თუ ასეთი არსებობს).

როდესაც შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც მიეკუთვნება ეს აქტივი.

მარაგები

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

კომპანიის მარაგების უმეტეს ნაწილს წარმოადგენს ნედლეული და მასალები, რომლებიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის, ასევე ძირითადი საშუალების მუშა მდგომარეობის უზრუნველსაყოფად .

სასაქონლო–მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე იმ დანახარჯებს,რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. გაყიდული (გამოყენებული) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც აღიარდება შესაბამისი შემოსავლები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულების ხარჯად აღიარებისათვის გამოიყენება FIFO მეთოდი.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიას გააჩნია მარაგების ნაშთები :

ნედლეული და მასალები 511258 ლარი

სარეალიზაციოდ განკუთვნილი საქონელი 1800 ლარი

შემოსავლის აღიარება

მოთხოვნები აღირიცხება მიღებული ან მისაღები ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს წმინდა მისაღებ თანხებს მიწოდებული საქონლისთვის ან გაწეული მომსახურებისათვის/საქონლისთვის ფასდათმობის, უკან დაბრუნების და დამატებული ღირებულების გადასახადების გათვალისწინებით.

კომპანია მოთხოვნების გაუფასურებას ახორციელებს ქვეყანაში არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წარმოადგენს განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს და პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო მოთხოვნების გადაყვანა ხდება ადგილობრივ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება იმავე წელს სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ როდესაც არსებობს საფუძველი რომ კომპანია ვერ

მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.
როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში თუ არა როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ამონაგების აღიარება

საქონლის რეალიზაციიდან ამონაგები აღიარდება მაშინ, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს საოპერაციო ხარჯების გაწევას, რომელიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებლია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ პერიოდში როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ. ვინაიდან საწარმოს საანგარიშგებო პოლიტიკით

მიმდინარე წლის გამოუყენებელი შვებულება ანაზღაურდება მომავალ პერიოდებში, არ წარმოიქმნება გამოუყენებელი შვებულების რეზერვი.

საკუთარი კაპიტალი

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არაკმაყოფილებენ ფინანსური ვალდებულებების აღიარების კრიტერიუმს კომპანიის მიერ აღირიცხება როგორც საკუთარი კაპიტალი. საკუთარი კაპიტალი მოიცავს საწარმოს მესაკუთრის მიერ განხორციელებულ ინვესტიციას, ამ ინვესტიციების მატებას, რომელიც მიღებული იქნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობებიდან და საწარმოში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით და მესაკუთრს ინვესტიციის შემცირებას, რაც განაპირობა არამომგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა ხელმძღვანელობა ცდილობს კომპანიის სტრატეგიული საჭიროებებიდან გამომდინარე კაპიტალის შესაბამისი ბაზის უზრუნველყოფას, რაც მიიღწევა ფულის ეფექტური მართვის და კომპანიის შემოსავლის და მოგების მუდმივი მონიტორინგის საშუალებით.
2022 წლის ბოლოს განმავლობაში კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 350000 ლარს.
2023 წელს საწესდებო კაპიტალში ცვლილება არ მომხადარა .

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

ბანკის სესხების და ოვერდრაფტების საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.
საწარმოს გააჩნია საკრედიტო ვალდებულება თიბისი ბანკის მიმართ .

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომ მნიშნელოვან ცვლილებებსა და მოვლენებს ადგილი არ ქონია.

დაბეგვრა

კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებობის შესაბამისად კერძოდ, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის მოდელი, რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. მოგების გადასახადით დაბეგვრა მოხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება:

1. დივიდენდის განაწილება
2. სხვაობები გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის
3. ხარჯები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას
4. გადახდები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას
5. უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება
6. წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზემოთ

აღნიშნულის გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში, ძესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

წინასწარი გადახდები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია მოსალოდნელი გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსები აისახება მიმდინარედ, თუ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ავანსის მიღება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს არამიმდინარე აქტივთან, აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება საქონლის ან მომსახურების მიღებისას.

კომპანიის მიერ გადახდილ ავანსს ძირითადად წარმოადგენს ნედლეულის ან ძირითადი საშუალების მომწოდებელი კომპანიებისათვის გადახდილი თანხები.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი რომ ვერ მოხდება საქონლის მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა , ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის

შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე გამუღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში. 2023 წელს დივიდენდი არ გაცემულა.

1. **მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები დაშვებები და შეფასებები**

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება მოსალოდნელი წარმადობა სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

ძირითადი საშუალებები, შპს კამელინი

დასახელება	31/12/2022	შემოსვლა	გასვლა	ცვეთა	31/12/2023
	ღირებულება				ღირებულება
შენობები	104496	532605		30655	606426
მიწა	95580		53120		42460
მოწყობილობები	653633	723351		30864	1346120
სხვა	734				734
სატრანსპორტო საშუალებები	0	0	0	0	0
სულ ძირითადი საშუალებები	854423	1255956	53120		1995740

დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31/12/2022	31/12/2023
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	820564	1135393
საავაჭრო მოთხოვნები	1003040	1339676
სულ დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1823604	2475069

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები	31 /12/ 2022	31 /12/ 2023
თანხა სალაროში	0	0
თანხა ბანკში	271367	197540
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	271367	197540

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 0 ლარს (2022 წელს 7771 ლარი)

სასესხო ვალდებულებები

კომპანიას საბანკო დაწესებულებიდან აღებული აქვს გრძელვადიანი სესხები.

მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები	31.12.2022	31.12.2023
გრძელვადიანი სესხი	2000000	1605860
მოკლევადიანი სესხი		
სულ სესხის ვალდებულებები	2000000	1605860

შემოსავალი

2023 წლის შემოსავალი 2390982 ლარის ოდენობით (2022წ: 2751269 ლარი) მოიცავს ამონაგებს ბიოლოგიურად აქტიური დანამატების რეალიზაციიდან.

2. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას ასევე შესაძლებელია რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა მომავალში გახდეს დავის საგანი რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად არ მომხდარა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

ფინანსური რისკის მართვა

კომპანია განიხილავს თავის რისკებს ფინანსური რისკების კონტექსტში, რომელიც მოიცავს საკრედიტო, საბაზრო, სავალუტო ლიკვიდურობის და საპროცენტო განაკვეთების რისკებს. ამასთან კომპანია პერმანენტულად ახორციელებს სამუშაოებს საოპერაციო რისკების მინიმიზაციის კუთხითაც.

საკრედიტო რისკი

კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს, რომ კონტრაქტორი დროულად ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილებების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანია არ ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით. კომპანიას გააჩნია ფული და სხვა სახის მაღალი ლიკვიდურობის აქტივები, რომლებიც უზრუნველყოფს მიმდინარე ვალდებულებების დროულ გასტუმრებას.

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული მიზანია შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალის ბაზა, რათა მიაღწიოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიულ მიზნებს და შეინარჩუნოს ბაზრის მონაწილეთა ნდობა.

ხელმომწერი პირები:
დირექტორი